


# ლიცენოცენტრი საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება  
№11, 28 ნოემბერი, სამშაბათი, 2023 წელი

17 ნოემბრიდან – 17 მარტამდე...

„იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი, თურმე, იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი...“ ... და ეს იყო 1959 წლის 17 ნოემბერს, ჭყვიშში, ტაბიძეების ოჯახში. 67 წლის შემდეგ კი: „ვენუზვარ, ერთადერთი ვარ...“ – იტყვის გენიოსი პოეტი და ეს ჭეშმარიტება შემდეგი ტაბიძეებით: „ბედი, ქროლვის გარეშე, ჩემთვის არაფერია“ მისი „დაულაგებელი“ ცხოვრების გაგრძელებად იქცევა.

ან, იქნებ, სულაც არ სჭირდებოდა მის, უკვე მიღმიერ სამყაროში გასულ, დედამიწურ ცხოვრებას დალაგება... მხოლოდ – ელემენტარული, საარსებო მინიმუმი, რომელსაც სამადლოდაც კი, არ აძლევდნენ... და ...

მთელი სიცოცხლე თვითმკვლელობაზე ფიქრობდა გალაკტიონ ტაბიძე, გულცივობამ, უყურადღებობამ და შეურაცხყოფამ თვითმკვლელობამდე ბევრად ადრე ჩაანერინა დღიურში:

„ჩემ თვალწინ სდგას საშინელი სიღარიბე, ვინაიდან მისპობენ საარსებო წყაროებს. საშინელებაა, როცა ადამიანი „ნელეზე ფეხს იდგამს“. საზიზრობაა, როცა ადამიანი თავს ვერ აღწევს ბორკილებს, რომელსაც ადებს სიღარიბე. მინასთან გასწორებაა, როდესაც ადამიანი ერთსა და იმავე ძონძებში დადიხარ წლობით. როცა ჰკარგავ თავმოყვარეობას, ან როცა ემაღები ხალხს, მის მაგიერ, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად იარო ხალხში, და ეს აჩრდილი სიღარიბისა – ეხლა უკვე აჩრდილი კი არა, რეალური სახეა ჩემთვის. მე ბუნებით არა ვარ შურიანი და ბოროტი ადამიანი, მაგრამ სიღარიბეს შეუძლია ასეთად გამხადოს. საზოგადოება ვერ ითმენს ადამიანს, რომელიც მას არა ჰგავს. საზოგადოება ყოველ ძალასა და ღონეს ხარჯავს, რათა ადამიანი ძირს დაანარცხოს მაღალ საფეხურიდან, ან, ყოველ შემთხვევაში, უსახო კაცად გახადოს – ადამიანი – ადამიანური სახის მქონე. ამიტომ საჭიროა ბრძოლა. ბრძოლა არსებობისათვის!“

ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №5 – აქ, ელიტური სამკურნალო კომბინატის ეზოში, პირველი კორპუსის მეორე სართულზე ასასვლელი კიბისა და ძირითადი კედლის კუთხეში, 1959 წლის 17 მარტს, 17 საათსა და 50 წუთზე, დაეცა გალაკტიონ ტაბიძე, იგი იქვე გარდაიცვალა ისე, რომ წვეთი სისხლი არ დაუღვრია და მიწაზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია. – ეს არის ფრაგმენტი პოეტ ვახტანგ ჯავახიძის ჩანაწერების წიგნიდან, კვალი კი, რომლის შესახებაც გალაკტიონის ბიოგრაფიის მკვლევარი წერს, არ ჩანდა შემდგომი 51 წლის განმავლობაში.

„გალაკტიონი რომ მოკვდა, არ გამოაცხადეს, რომ თავი მოიკლა. ეს ადგილიც მივიწყებული იყო. საქვებე ააშენეს. მხოლოდ 2010 წლის 17 მარტს, გალაკტიონის თვითმკვლელობის დღეს, ამ ადგილზე ყაზბეგიდან ჩამოტანილი ძვირფასი დიაბაზის ქვა დაიდგა.“ – იხსენებს ვახტანგ ჯავახიძე.

თუმცა, ოფიციალურ გახსნამდე იყო ნახევარსაუკუნოვანი დუმილი. პირველი 30 წლის განმავლობაში გალაკტიონის თვითმკვლელობას ტაბუ ედო, რადგან ეს იყო აშკარა პროტესტი, მაგრამ საბჭოთა იმპერიის დამხობის შემდეგ, უკანასკნელ 20 წელიწადს უყურადღებო და ნაშაუღში თანამონაწილეობას ნიშნავდა.

გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე ერთ თვეში, 1959 წლის 15 აპრილს დაიხურა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი, მინაწერით „მოისპოს,“ ინახება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში. არსად, არც ერთ პერიოდულ გამოცემაში არ დაწერილა, რომ პოეტმა თავი მოიკლა. მოისპო ის ოთახებიც, რომლებშიც სიცოცხლის უკანასკნელი საათები გაატარა დიდმა პოეტმა.

როგორც ვახტანგ ჯავახიძე გალაკტიონზე დაწერილ „უცნობში“ იხსენებს, ერთადერთი მინიშნება გაკეთდა დასაფლავების დროს, მთაწმინდის პანთეონში გიორგი ლეონიძის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში:

„მშვიდობით სიკვდილისათვის აჩქარებულო, როგორ არ იცოდი, რომ სიკვდილი შენ ვერ მოგერეოდა?!“

და ვერც მოერია: დღეს ყველა აღიარებს პოეტების მეფეს, რომლის სახელს ატარებს ხიდი და ქუჩა დედაქალაქში, დგას ძეგლი, პოეტის ბინაზე კი გახსნილია



სახლ-მუზეუმი. მაღალი ტირაჟით იბეჭდება და იყიდება მისი ლექსები, ხოლო ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობს გალაკტიონოლოგიის ცენტრი, და კიდევ: ვისმენტ დიდი პოეტის ხმას, რომელიც აუდიოჩანაწერის სახით ლიტერატურის მუზეუმის მიერ გაკეთებულ გალაკტიონის ინტერნეტ გვერდზეა განთავსებული და დღემდე აღელვებს პოეტის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს.

ერთ-ერთი ჩანაწერი გაკეთებულია 1941 წელს, თვითმკვლელობამდე მთელი თვრამეტი წლით ადრე. საბედისწერო დღეს კი, 1959 წლის 17 მარტს, პოეტმა სამკურნალო კომბინატის პირველი კორპუსის მეოთხე სართულზე მდებარე 52-ე ოთახში, განყოფილების გამგის

კაბინეტში მდებარე ფანჯარასთან მიიდგა სკამი, რაფაზე შედგა, ფანჯარა გამოალო და გადახტა...

## „სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება...“

(მ. ქვლივიძე)

დიდმა პოეტმა სული დალია კედლისა და შესასვლელი კიბეების კუთხეში, სადაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში გაიარა მილიონობით ადამიანმა, რომელთაგან ერთეულებმა თუ იცოდნენ ამ ტრაგიკული ფაქტის შესახებ.

მხოლოდ 2010 წელს პოეტის გარდაცვალების ადგილზე დაიდო ვეებერთელა ლოდი, წარწერით: „1959 წლის 17 მარტს აქ დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონ ტაბიძემ“.

თუმცა, დღეს ჭავჭავაძის ხუთ ნომერში ველარც სამკურნალო კომბინატის შენობას ნახავთ და ვერც ყაზბეგიდან ჩამოტანილ მემორიალურ ქვას. 2012 წელს ისტორიული შენობა იყიდა კერძო პირმა, რომელმაც ძველი „ლეჩკომბინატი“ დაანგრია და მის ადგილზე ახლის, მრავალპროფილური საავადმყოფო „ლეჩკომბინატი ნომერი ერთის“ აშენება გადაწყვიტა. არადა, ამ ქვის თავის ადგილზე დაბრუნებას, მნიშვნელობა აქვს. ამ ადგილზე უნდა მოეწყოს არა მარტო საავადმყოფო, არამედ კულტურულ-სახელოვნებო სივრცე გალერეის სახით, რომელსაც, გალაკტიონის სახელი მიენიჭება და გალაკტიონის ცხოვრების ამსახველი გარემო მოეწყობა.

განადგურდა და გაქრა ორადგილიანი მეშვიდე პალატა, რომელშიც გალაკტიონისთვის მესამე საწოლის შეტანამ და ჩადგამამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

განადგურდა და გაქრა მეოთხე სართულზე მდებარე 52-ე ოთახი, სადაც უკანასკნელი ნაბიჯები გადადგა „ვარდისფერ გზაზე“ აჩქარებულმა პოეტების მეფემ და ვიდრე უკვდავებაში შეაბიჯებდა, ცამეტი ტყვიით ცამეტ თვითმკვლელობაზე მეოცნებემ, ზუსტად 13 მეტრი იფრინა.



# ისტორიის ყელდაყელ

## დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის გამო

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ, „ივერიის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე ასე გამოხატავდა ქართველი ხალხის მწუხარებას:

„ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული – ყველანი ერთად და თვითვეული ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში“.

ილია ჭავჭავაძე მძიმედ განიცდიდა დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკულ გარდაცვალებას. იგი კარგად გრძნობდა, თუ რას ნიშნავდა ქვეყნისათვის დიმიტრის დაკარგვა. უფრო მეტიც, ცარიზმის მოხელეების დაკვეთით განხორციელებული მკვლელობა ილიამ შესანიშნავად გამოიყენა არა მარტო მათ წინააღმდეგ, არამედ ქვეყნის საჭიროებისათვისაც. მან არსებულ სიტუაციაში შეძლო ქართული საზოგადოების გაერთიანება დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის გარშემო. მიუხედავად რეაქციისა, დიმიტრის დაკრძალვის დღეებში, თამამად შეიძლება, ითქვას, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა. თითქოს ახლა ახდა ილიას დიდი ხნის ნატვრა, მიძინებულმა ქართველმა ხალხმა გამოიღვიძა და ამოდრავდა, ცარიზმის მოხელეებს აგრძნობინა, შელახული თავმოყვარეობის გამო გამოწვეული პროტესტის აზვირთებული ძალა. ის, რომ დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვამ მძლავრი ეროვნული საპროტესტო, ამავე დროს პოლიტიკური ხასიათი მიიღო, ამაში ილია ჭავჭავაძის დიდი დამსახურებაა. შეიძლება, ითქვას, რომ ეს მხოლოდ მან შეძლო. ამიტომაც იყო მის მიმართ ცარიზმის ადგილობრივი და არა მარტო ადგილობრივი მოხელეებისაგან განხორციელებული ზეწოლა დიმიტრის დაკრძალვის შემდეგ. განსაკუთრებით საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილები, რომლებიც გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ამ წერილებში დიდი ილია ღრმად გაიაზრებდა დიმიტრი ყიფიანის პიროვნებას, მის საქმიანობას და მოღვაწეობას, ადგილსა და როლს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პირველ წერილში ილია ცდილობდა, გაარკვია „მოჭირნახულე, პატიოსანი მოხუცი“ მკვლელობის გარემოება, ის მიზეზი, თუ რატომ უნდა მოეკლათ იგი.

„რა უნდოდათ? რა იხარბეს? რას მოელოდნენ ამ ყოვლად გაღარიბებული და დღემილუული კაცისაგან!“ – კითხულობდა ილია.

ილია იმ მიზეზთაგან, თუ რატომ უნდა მოეკლათ დიმიტრი, არაერთ მიზეზს გამოიყენებდა და აღნიშნავდა, რომ მის მკვლელობას სხვა რამ მიზეზთაგანი უდევდა საფუძვლად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს საზოგადოებაში დიმიტრის მკვლელობის ერთადერთ მიზეზად სახელდებოდა მისი დაპირისპირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან და თვლიდნენ, რომ იგი მათი დაკვეთით იყო მოკლული. რა თქმა უნდა, ამას ილია, შექმნილი ვითარების გამო, ხმამაღლა ვერ იტყოდა, მაგრამ საზოგადოებას მიაჩნებდა ამ გარემოებაზე. თუ არა ზემოთ აღნიშნულს, სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს ილიას შემდეგი სიტყვები:

„ეჰ, ადამიანო, რამდენად უწმინდური ხარ!.. რამდენად სულმდაბალი ხარ!.. ტყის ნადირს, მხეცს მეტი სიბრალული ექმნებოდა, რომ დაინახავდა მისს თოვლივით გათეთრებულს თმას, მისს ხნიერობით დანაოჭებულს, ჭკვიანს, მშვიდობიანს და ღრმა ფიქრით, ღრმა ნაღველით ალბეჭდილს სახესა. შენ კი, ღვთისა მსგავსებით და სახით შექმნილო, არ შედრკი და წმინდად მისაჩნევი მოხუცებულობა შესვარე სისხლითა და შეაგინე ცოდვითა“.

მაგრამ მტრებმა თავიანთ სანადელს ვერ მიაღწიეს, მართალია, დიმიტრი ფიზიკურად მოკლეს, მაგრამ „მისი სამსახური და ღვაწლი ყველას ანდერძით თვალწინ აქვს...“ მთავარი ეს იყო ილიასათვის, რადგან მისი აზრით საზოგადოება კარგად ხვდებოდა, თუ რისთვის ეწამა და მოიკლა დიმიტრი ყიფიანი:

„დიახ, ბატონებო, იგი აღარ არის... მოკვდა!.. გარდაიცვალა და არ გარდაიცვლებიან მხოლოდ მისი სამსახური, მისნი ღვაწლი, მისნი საქმენი... ამისთანა იშვიათს კაცებზე ნათქვამი: მოკვდა და თავის ანდერძით ან ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“. – სხვაგვარად ვერ იტყოდა ილია ჭავჭავაძე, ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი.

მეორე წერილში ილიას სურს, გაარკვიოს მიზეზი, თუ რატომ სწუხს ყველა, განურჩევლად წოდებისა და ასაკისა, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებას.

ილია ცდილობდა, აეხსნა დიმიტრის მკვლელობით საზოგადოებაში გაჩენილი მწუხარების მიზეზის საიდუმლოება. ილია ამავე წერილში განსაკუთრებით გამოყოფდა დიმიტრი ყიფიანისათვის დამახასიათებელ ერთ, მეტად მნიშვნელოვან პიროვნულ თვისებას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი“. დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი. იმიტომ, რომ მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო“ არა სთქვა, როცა გული „არას“ ამბობს. „მართალიო, – ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი, – ის კი არ არის, რომ კაცმა სთქვას, რაც ჭეშმარიტია, არამედ ისა, რასაც ვფიქრობთ და რაც გულში გვაქვსო“.

ილია ჭავჭავაძეს დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებით ხალხში გამოწვეული მწუხარების ერთ-ერთ მიზეზად სამართლიანად მიაჩნია მისი გულთასრულობა, ის რომ იგი გამოირჩეოდა თავისი ხასიათით:

„იგი იყო გულთასრული კაცი... იგი იყო კაცი ხასიათისა... ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დიდი და ძვირფასი სიკეთე მარტო ჩვენს ძველებსლა მოსდევთ, და აი რას მივტირით, როცა იგინიც მიდიან...“

მესამე წერილში ილია ჭავჭავაძე კიდევ ერთხელ მიგვანიშნებდა, რომ დიმიტრი

ყიფიანი მოკლეს. „კაცი მოკვდა ან მოჰკლეს! ...“ – ეს სიტყვები სწორედ ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ილია ამავე წერილში კვლავ უბრუნდება წინა წერილებში დასმულ კითხვას: – რატომ განიცდის მტკივნეულად საზოგადოება დიმიტრის გარდაცვალებას, საუბრობს მახლობელი და შორეული ადამიანის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებაზე და წერს:

„კაცი მოკვდა ან მოჰკლეს!.. რა იშვიათი ამბავი ეს არის, რომ დიდი და პატარა შეიძრას? რამდენი ათასი კაცი ჰკვდება ყოველ-დღე, ყოველს საათს, მაგრამ მრავლის-მრავალს ყურსაც არ ვათხოვებთ ხოლმე. ვინ არა კვდება? ვინ შეჰრჩენია ამ წუთისოფელს საუკუნოდ? ადამიანი სიკვდილის შვილია, და თუ ვინმე კვდება, თუნდაც სხვისის ხელითაც, – აქ არ არის უცნაური და საკვირველი?“

თუმცა, ასეა, მაგრამ ძნელად იქნება იმისთანა უბედური, რომ მკვდარს არავინ მისტიროდეს. ხოლო მრავლის-მრავალს მისტირის მხოლოდ მახლობელი და ნათესავი, სხვა-კი – ცხედრის დანახვაზე – მარტო სიბრალულით შენდობას თუ ეტყვის და ამით ათავებს თავის საქმეს...

ადვილად მისახვედრია, ადვილად გამოსაცნობია, – რათა სტირის გული, როცა მახლობელი, ან ნათესავი გვეკარგება. აქ მწუხარებას და გლოვას ადვილად გამოსარკვევი მიზეზი აქვს, როგორც ყოველს იმას, რაც კერძობითაა, რაც ცალკე ადამიანს განსაკუთრებით შეეხება. სულ სხვაა, როცა გული გეტყვის და გვიკვნისის იმისთანა კაცის გამო, რომელიც სისხლით და ხორციტ შორეულია, რომელიც არც ჩვენი საკუთარი მახლობელია, არც ჩვენი საკუთარი ნათესავი.“

სწორედ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე დიმიტრი ყიფიანის სახით: იგი ბევრისთვის „სისხლით და ხორციტ შორეულია“, ბევრისთვის არც „საკუთარი მახლობელია“ და არც „საკუთარი ნათესავი“, მაგრამ ყველას ტკივა და უკვნისის გული მისი გარდაცვალების გამო.

ილია ჭავჭავაძე დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების მიზეზის გარკვევისას აყალიბებს მადლისმქნელი პიროვნების კონცეფციას, რაც მეტად საინტერესო და საყურადღებოა. ილიას აზრით, ყველა სხვა მიზეზთაგან, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია დიმიტრის გარდაცვალებით საზოგადოებაში გამოწვეული მწუხარების ასახსნელად. მადლისმქნელობა დიმიტრის პიროვნული თვისებაა. ილია მისეული მადლისმქნელობის კონცეფციით ხსნის დიმიტრის პიროვნებას, მისი ცხოვრების საზრისს.

„ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც, კი, ჰგრძნობს, თუმცა, არა ჰხედავს. როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილად-ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითვეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ, და ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ მივტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა.“

მეოთხე წერილში ილია არკვევს ადამიანის დანიშნულების საზრისს ცხოვრებაში, იმ როლს, რაც მას აკისრია საზოგადოებაში. ილია თვლის, რომ, აუცილებელია, თითოეულმა ადამიანმა გაარკვიოს რისთვის იყო, რისთვის არის და საერთოდ რა გაუკეთებია ამქვეყნად.

ილიამ ჭავჭავაძე წერილის დასასრულს ერთგვარ დასკვნას აკეთებს და პასუხს იძლევა იმ კითხვებზე, რომლებიც მის მიერ იყო დასმული დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილებში. ილია არა მარტო ნათელს ხდის დიმიტრის პიროვნებას, არამედ განმარტავს, თუ რატომ განიცდის საზოგადოება მის წასვლას ამქვეყნიდან და რამდენად დიდი როლი შესწევს მის ამქვეყნიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას თითოეული ადამიანის, საერთოდ საზოგადოების ზნეობრივად განწმენდისა და ამაღლებისათვის. ილიას თქმით, დიმიტრის მსგავსი ადამიანები „თავის თავის განკითხვის დღესა, გვწურთნის, გვასწავლის და გვზრდის“.

„დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა. ხუთი ათას კაცამდე ნაცნობი და უცნობი მოდის იმის პანაშვიდზედ, რათა სხვასთან ერთად, ერთ-კრებულად უთხრას: განისვენე მართალთა თანაო. დიდი, პატარა ჰგლოვობს და მწუხარებს. ამის მნახველს ყოველს ამის მსმენელს, უნებლიეთ გაუეღვებს ფიქრი: სჩანს ეს კაცი... ყოფილა რამ, სჩანს, რისთვისმე უცხოვრია, სჩანს, რამ გაუკეთებია, თორემ დღეში რამდენი კაცი კვდება, რატომ სხვაზედ არ არის ეს ამბავიო.“

აქედამ დიდი სახტომი არ არის იქამდე, რომ კაცმა თვალი შიგნით ჩაიბრუნოს და თავის გულში დაიწყოს იმის პასუხის ძებნა თუ, – რისთვისა ვარ? რა გამიკეთებია? რით მომიგონოს ჩემმა შემდეგმა? დიახ, ამისთანა მაგალითი მოგვივლენს ხოლმე თავის-თავის განკითხვის დღესა, გვწურთნის, გვასწავლის და გვზრდის.“

წერილებს დიმიტრი ყიფიანის შესახებ გამორჩეული ადგილი უჭირავს ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ამ წერილებით მან ქართულ საზოგადოებას დიმიტრი ყიფიანის მაგალითზე კარგად უჩვენა პიროვნების როლი და ადგილი საზოგადოებაში. ეს წერილები ყურადღებას იპყრობს არა მარტო ლიტერატურული, არამედ უფრო ფილოსოფიური თვალსაზრისითაც, იგი ერთგვარ ფილოსოფიურ ტრაქტატს წარმოადგენს ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების შესახებ. წერილებში დიმიტრი ყიფიანის პიროვნებაც სწორედ ფილოსოფიური თვალთახედვით არის დანახული და განზოგადოებული. ილია დიმიტრის მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანად გვიხატავს, ამიტომ საზოგადოებას ილია მაგალითად დიმიტრი ყიფიანს უსახავს და აქაც კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება და ღრმა პატივისცემა დიდი მამულიშვილისადმი. ილიასათვის მთავარი მაინც ის არის, რომ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, დიმიტრი სიკვდილის შემდეგაც „გვწურთნის, გვასწავლის და გვზრდის“.

სწორედ ამაშია დიმიტრი ყიფიანის სიღიადე და უკვდავება.

ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის ღონისძიებებთან დაკავშირებით შედგა კომისია, რომელშიც, „რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეც დიდ მონაწილეობას იღებდა“. დაკრძალვის პროცესიას, მიუხედავად ცარიზმის მოხელეების ცნობილი წინააღმდეგობისა, სხვებთან ერთად მიჰყვებოდა ილია

ჭავჭავაძე. მთაწმინდაზე წარმოიქვა სიტყვები, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აკაკი წერეთლის სიტყვას.

ისევ ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით: „მოლოდენი ილიას სიტყვასაც, მაგრამ მას არაფერი უთქვამს, ისე, კი, გვითხრა რამდენიმე კაცს: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არ სჯობიაო!“ მართლაც, უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე მოსული, ნამდვილად მთელი საქართველო! ილიას მიერ სიტყვით არ გამოსვლა ზოგმა მის სიფრთხილეს მიაწერა. ისიც კი გაიხსენეს, რომ ერთ დროს მას ყიფიანთან პოლემიკა ჰქონდა, მაგრამ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა, ცილისწამება იყო!“.

დიმიტრი და ილია ძლიერ განსხვავებული ხასიათის ადამიანები იყვნენ, მაგრამ მათ ცხოვრებაში არაერთი მსგავსი დეტალის აღმოჩენა შეიძლება.

ორივე მამულიშვილის ცხოვრების დასასრული საოცრად ჰგავს ერთმანეთს. დიმიტრის მკვლელობიდან გაივლის რაღაც ოცი წელი და 1907 წლის აგვისტოში წინამართან ესვრიან ილიას, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დიმიტრი უცხო ძალების მიერ, ხოლო ილია გადაგვარებული ქართველების ხელით იქნა მოკლული.

სხვა მხრივაც ჰგავს ერთმანეთს დიმიტრის და ილიას ბედი. ორივეს დაუპირისპირდა ქართული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა უძლოდა წინ დიდი ილიას მკვლელობას, სოციალ-დემოკრატები რას არ უგონებდნენ და წერდნენ ილიას შესახებ. იგივეს ჰქონდა ადგილი დიმიტრის მიმართაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ სოციალ-დემოკრატები ილიას წინააღმდეგ მის სიცოცხლეში გამოდიოდნენ, დიმიტრისთან მიმართებაში ამას ადგილი მისი მკვლელობიდან 25 წლის შემდეგ ჰქონდა.

1914 წელს ქართველმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 100 წლისთავი. ამ თარიღს ქართულმა პრესამ მიუძღვნა არაერთი წერილი და სტატია, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლეოდა დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას. მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პრესის ფურცლებზე გაჩნდა ერის წინაშე დიმიტრის დამსახურების განმაქიქებელი წერილები, რომელთა ავტორები იგივე ბრალდებებს უყენებდნენ მას, რასაც თავის დროზე დიდი ილიას წინააღმდეგ ავრცელებდნენ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მათი ბედის მსგავსებაში: 1987 წელს ილია, ხოლო ოცი წლის შემდეგ, 2007 წელს, დიმიტრი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. ილიას „ივერია“ ფართოდ ეხმაურებოდა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის ამბებს. დაკრძალვის დღეებში სისტემატურად აქვეყნებდა სამგლოვიარო წერილებს, დეპეშებს, სიტყვებს. ამ ფაქტმა ხელისუფლების გულისწყრომა გამოიწვია. საინტერესოა ვალერიან გუნიას წერილი კოტე ყიფიანისადმი, რომელიც ვალერიან გუნიას 1887 წლის 18 ნოემბერს მიუწერია. წერილი ყურადღებას იპყრობს იმ გარემოებით, რომ ჩვენთვის ცნობილი ხდება ხელისუფლების დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის მიმართ დიმიტრი ყიფიანისადმი გამოჩენილი ყურადღების გამო. წერილიში ვკითხულობთ:

„ძმაო, კოტე! ლენტეხს გიგზავნი – სულ 24 ნომერია, ზოგ ლენტეხზე არ წერია, ვისგან არის. მე იმათზე დავწერე ფერადი ყარანდაშით. ჩემის ანგარიშით. კიდევ უნდა ყოფილიყო 8 ან 10 ლენტი, რადგან გვირგვინები 33 იყო. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ილია ჭავჭავაძემ გადმომცა გუშინ ეს ლენტები და თან მთხოვა, რომ შენი წერილის პასუხიც მომეცა.“

რაც შეეხება ტელეგრამებს და სხვა მრავალ წერილებს, ილიას ჯერ არ შეუძლიან, ჩაგაბაროს, რადგან საქმე ძრიელ გამწვავდა: „ივერიის“ რედაქციას ამტყუნებენ – შენ თვითონ სთხზავდი ტელეგრამებს და წერილებსო, ამიტომ, ილიას ჯერჯერობით დასჭირდება, როგორც გასამართლებელი საბუთი. ეხლა პეტერბურგთან მიწერ-მონწერა აქვს გამართული აქაურს ცენზურას და ჯერ უნდა მოითმინო. თუ მაინც და მაინც ძრიელ გინდაო, – ილიამ, – გადაანერინეო (გადაწერას დრო მოუნდება, რადგან მეტად ბევრია), მაგრამ სჯობს, მოიცადო, სანამ საქმე გათავდეს და მერე მიიღოვო. რაც შეეხება შეკრებილს და დანახარჯის ფულს, ილიამ მითხრა, რომ ჯერხანობით იმის მიწერა არ შემიძლიან, რადგან საქმე განწმამებულია და შეიძლება, ტყვილაუბრად დავისაჯვოთო და მართალიც არის, ჩემო კოტე, რას არ გვიგონებენ?

თუ რამე დაგჭირდა, პირდაპირ ბანკში მომწერე, მე შევასრულებ შენს თხოვნებს.

მე ვაპირებდი გამომეცა დიდი წიგნი – სახსოვრად განსვენებულის დიმიტრისა, მაგრამ ეხლა სულ აგვიკრძალეს კრინტის ამოღება და „კალენდარშიაც“ ნებას არ მაძლევენ. ორიოდე სიტყვა ვსთქვა. მოვითმინოთ!“

მართლაც, 1887 წლის შემდეგ ხელისუფლებიდან მკაცრად აიკრძალა დიმიტრი ყიფიანზე, საჯაროდ ლაპარაკი (მით უფრო მკველელობის მიზეზებზე). 90-იანი წლებიდან თითქოს ყინული დაიძრა. მაგრამ მკვლელობის მიზეზებზე ლაპარაკს მაინც ტაბუ ჰქონდა დადებული. ნიკო ყიფიანმა, დიმიტრის უფროსმა ვაჟმა, 1893 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი „ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა“ ბოლო თავების გარეშე. ნიკო ყიფიანი იქვე მიუთითებდა, რომ ცნობილი მიზეზებისა და გარემოებათა გამო არ ხერხდებოდა ნარკვევის მთლიანად გამოქვეყნება. ეს ვრცელი ნარკვევი ასევე დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1894 წელს. ბოლო თავების გამოქვეყნება მხოლოდ 1912 წელს მოხერხდა გაზეთ „თემის“ ფურცლებზე, როცა ხელისუფლებისათვის უკვე სამიში აღარ იყო 25 წლის წინ მათი დაკვეთით განხორციელებული მკვლელობის აქტი.

თამაზ ლაცაბიძე – ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, ისტორიკოსი

ერთი ლექსი



\* \* \*

მარად და ყველგან, საქართველოვ,  
მე ვარ შენთანა!..  
მე ვარო შენი თანამდევნი,  
უკვდავი სული,  
შენთა შვილთ სისხლით გული  
სრულად გარდამებანა,  
ამ გულში მე მაქვს შენი ანმყო,  
შენი წარსული.  
მეცა ვტანჯულვარ, ჰე, ბედკრულო,  
შენის ტანჯვითა,  
შენისა ცრემლით თვალნი  
ჩემნი მიტირებია,  
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ  
დღეთა შენთა ნატვრითა,  
შენის ანმყოთი სული,  
გული დამწყლულებია.  
წარვლილთა დღეთა შენთა  
მახსოვს დიდებულება,  
ვიცი, რომ იყავ ერთხელ  
შენცა მორჭმულ-ძლიერი,  
შენცა გფენია ქვეყნის  
მადლი – თავისუფლება,  
ეხლა აღგვილა ყველა ესე,  
ვითარცა მტვერი...  
და ძესა შენსა დღეს  
არც კი სწამს შენი აღდგენა,  
განწირულების შთასდგომია  
მას გულში წყლული,  
მას დაჰკარგვია ტანჯვათ  
შორის შენდამი რწმენა  
და დაუგდინარ,  
ვით ტაძარი გაუქმებული.  
ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს  
ზოგად ცხოვრებას  
და მცნების ნათლით  
ზე-ღზიდულ, ამაღლებული  
ჭკვით არ განსჭვრიტავს  
საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი უიმედო,  
შენუხებული,  
უქმისა დრტვინვით, გულის წვითა  
მწარე ცრემლს დაღვრის,  
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო,  
შენს აღდგენასა,  
და იგი ცრემლი ურწმუნობის,  
ექვსის და ტანჯვის,  
ჰლაღადებს მხოლოდ ძისა  
შენის უძლურებასა...

ილია ჭავჭავაძე

### პოეზია



გულნარა ქელიძე

\*\*\*

დრო გაჯირითდა კედლის საათზე,  
 დრო აღარ დროობს, ისრები გარბის,  
 ბუხართან მჯდომი მოხუცი ბებო,  
 ველარც კი ასწრებს მოყოლას ზღაპრის.  
 უამინდობა მოსჩანს ფანჯრიდან,  
 თუმცა, ქარიშხალიც აღარ მაშინებს,  
 იმდენ უზნეოს იტევს სამყარო,  
 მიწის დუღილი აღარ მაკვირვებს...  
 და ველოდები ყვავილთა თოვას,  
 ფანჯრის მიწებთან მოფარფატებულს,  
 მერე ჩიტების ტკბილხმინობას,  
 გულებს, სითბოთი მომარაგებულს.  
 ფიქრით დაღეჟილ ყავის ფინჯანში  
 მესურვილება, ჩავხატო გული,  
 აღარ მადარდებს აჩქარებული  
 წამი და წუთი, მერევა რული...

\*\*\*

განვლილი ნაცნობია, სავალი – უცნობი,  
 კუნძუზე ჩამომჯდარი ხელებს აშტერდები,  
 არ თქვა, საკუთარი თავით დაილაღე,  
 მხრებზე წლები გადგას, შენი ნაშენები.  
 ბრძენის ნილაბი აქვს მავანს მორგებული,  
 ტყუილების გუდა ამძიმებს სამყაროს,  
 უსამართლობა ქცეულა ღირსებად,  
 საბრალო არყოფნა საშველად ტრაბახობს.  
 რკინის გულებში ჩამდგარა ეგოიზმი,  
 შემოიღო სამყაროს სჭირდება გადარჩენა,  
 ერთობა მოგვეცი, ღმერთო, გვისაშველე,  
 დაღლილი ხელებიც წარსულში დარჩება...

\*\*\*

ლამეს მიაშტერდა სიმარტოვე,  
 ყრუ სიზმრებს გაუფსია სახლი,  
 კედლებს შეპარვია ნესტის სუნი,  
 ტალად დგას ფიქრები წყნარი.  
 ოჰ, როგორ ვინატრე ჰუნე,  
 ტაჯგანაგს გადავკრაგ მწარედ,  
 ვუქროლებ უკვალო მინდვრებს,  
 პიესას დაუფდგამ ლამეს.  
 ვჩერდები ფიქრების ზღურბლთან,  
 თითქოს გამეყინა წამი,  
 სევდიან სონეტებს მიფრთხობს  
 სახლთან მობუზლუნე ქარი!

ტალა- გუშაგი, ყარაული.  
 ჰუნე- ცხენი.  
 ტაჯგანაგი-დიდი მათრახი.

\*\*\*

წლებს არ ვითვლი, თუმცა, მაინც,  
 ვწორიალებ ამ ჩემს წლებში.  
 დუელს მართავს ფოთოლთცვენა,  
 მაინც ვერ მომხარა მხრებში.  
 სიყვარული ვთესე ყველგან,  
 მოვრწყე ცრემლის თბილი წვიმით,  
 კიდევ ერთხელ ავუყვები  
 აღმართს, ჩემებური უინით!  
 შემოდგომა, ნოემბერი,  
 თმები, ზამთარშეპარული,  
 წლების დათვლა არც მანუხებს,  
 ბავშვობა მაქვს მოპარული!

\*\*\*

უჩრდილო ბილიკებს გამოვყვები,  
 მზე ბრჭყალებს ჩამომკრავს სახეზე,  
 ხორშაკი ამინდი რას დამაკლებს,  
 უმრუმეს ლამეშიც დაგვიტე.  
 ტევრი დავიარე ფეხშიშველმა,  
 ჟამმა გამილოკა წლები,  
 ლეკიფით ჩამოვივლი წყაროზე,  
 ჩემი შევერცხლილი თმებით.  
 მთვარე მეგზურად წამიძღვება,  
 შეგხვდები ჭრელა- ჭრულა კაბით,  
 ქედფიცხელობა თუ მომერია,  
 მერე ავცეტდები წამით.  
 თმაში ზამთარი ნუ მოგატყუებს,  
 გულში გაზაფხული ყვავის,  
 მზერის ანაბეჭდი დამიტოვე,  
 სონეტებს ვუსმინოთ ლამის!  
 გრძელდება სავალი ბილიკები,  
 ნამეხარ წლებს დავატარებ მხრებით,  
 წელათრეულ სიბერის კარიბჭესთან  
 ღმერთის მოიმედე ვდგები.

ლეკიფი- პანია სურა.

### ახალი წიგნი



კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა ხაშურის ლიტერატურულ სამყაროს – ლიტერატურული ალმანახი „ჩემი ჰობი პოეზია“. ალმანახში შესულია ხაშურელ ავტორთა შემოქმედება და ბიოგრაფიული ცნობები.

ლიტერატურულმა ალმანახმა ჩვენი თანამემამულის, ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორის ბ-ნი ლერი ნოზაძის კეთილი ნებით იხილა დღის სინათლე. ბ-ნი ლერი

პერიოდულად ასაჩუქრებს ხაშურელ ავტორებს მსაგვსი გამოცემებით.

ალმანახის წარდგინება 10 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით, ამერიკულ კუთხეში შედგა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ ლიტერატურის მოყვარული ხაშურის ინტელიგენციის წარმომადგენლები და ავტორები, რომლებმაც წაიკითხეს წიგნში შესული საკუთარი ლექსები...

თითოეულ ავტორს ალმანახის თითო ეგზემპლარი გადაეცა საჩუქრად.

